ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7373393

ნომერი: AR11076676

თარიღი : 06.02.2025

გაცემის თარიღი : 10.02.2025

გაცნობის თარიღი : 10.02.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ჰაინრიხ კლაპროთის ქუჩა, N39; იან ჰომერის ქუჩა, N10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭუმბურიძე პ/ნ 01030013137
- ლევან რჩეულიშვილის მე-2 ჩიხი #1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 06 თებერვალს №AR11076676 განცხადებით მომართა გიორგი ჭუმბურიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 13 იანვრის №7341143 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 13 იანვრის №7341143 ბრძანებით №01.72.14.040.354 და №01.72.14.040.037 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (დღევანდელი მდგომარეობით: №01.72.14.040.899), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2025 წლის 13 იანვრის №7341143 ბრძანებაში ცვლილების შეტანას განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნაწილში და კ-2=1.5-ის ნაცვლად კ-2=2.1-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ წინამდებარე განცხადება არასწორად იქნა დარეგისტრირებული „სამართლებრივი საკითხები“ - „ცვლილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში“ ნომენკლატურით. განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ცვლილება საჭიროებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას. ამისათვის საჭიროა განცხადება დარეგისტრირებულ იქნას სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.tas.ge) შემდეგი ნომენკლატურით: „ელექტრონული განცხადებები“ - „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები“ – „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება“.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ცვლილება საჭიროებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების და სამსახურის 2025 წლის 13 იანვრის №7341143 ბრძანებაში განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნაწილში „სამართლებრივი საკითხები“-ს ნომენკლატურით ცვლილების შეტანის შესაძლებლობას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.